საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1289

27/08/2021

ქ. თბილისი

სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სოფ. ანაგას ტერიტორიაზე 232305 მ³ ღორღის (სასარგებლო წიაღისეული) მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სოფ. ანაგას ტერიტორიაზე 232305 $м^3$ ღორღის (სასარგებლო წიაღისეული) მოპოვების სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სალიცენზიო ტერიტორია მდებარეობს სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სოფელ ანაგაში, ზღვის დონიდან 300-370 მეტრის სიმაღლეზე. სალიცენზიო ობიექტის ფართობია 154870 $м^2$, ხოლო GPS კოორდინატები: X - 576379, Y - 4613062; X - 576453, Y - 4613123; X - 576760, Y - 4612844; X - 576505, Y - 4612587; X - 576190, Y - 4612587; X - 576265, Y - 4612945. აღნიშნული ტერიტორიიდან დაახლოებით 450 მეტრში მდებარებს უახლოესი საცხოვრებელი სახლი. დაახლოებით 630 მეტრში ფიქსირდება შპს ,,საქართველოს მელიორაციის" საკუთრებაში არსებული ალაზნის არხი (ობიექტი: 53.00.507). სალიცენზიო ობიექტიდან 900 მეტრში ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ტექტონიკური დარაიონების თვალსაზრისით, სალიცენზიო ტერიტორია მიეკუთვნება ამიერკავკასიის მთათაშუა არეს, აღმოსავლეთი მოლასური დაძირვის ზონას. გეოლოგიურად სალიცენზიო ობიექტი აგებულია მეოთხეული ასაკის ალუვიურ-დელუვიური და სელური ნალექებით - ღორღით, კენჭნარით, ქვიშითა და თიხებით. მორფოლოგიური თვალსაზრისით სალიცენზიო ობიექტი (ღორღი) მდებარეობს მდ. ალაზნის მარჯვენა, ამაღლებულ ჭალისზედა I ტერასაზე, ჩრდილო-აღმოსავლური ექსპოზიციის 5-7°-იანი დახრილობის ფერდობზე. ტერიტორია დაფარულია თიხნარის (0,1-0,2 მ) ფენით და მეჩხერი ბუჩქნარით. მადნიანი სხეული შრისმაგვარი, ფენისებური ტიპისაა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მადნიანი სხეულის საშუალო სიმძლავრე 1,5 მ-ს შეადგენს და მისი პროდუქტიული წყების გავრცელება ლიმიტირებულია სალიცენზიო ობიექტის პარამეტრებით.

სკრინინგის განცხადების თანახმად, სალიცენზიო ობიექტზე საძიებო სამუშაოები და დასინჯვა ჩატარებული არ არის, ამასთან, არ ჩატარებულა ლაბორატორიული და ტექნოლოგიური და ჰიგიენურ-რადიაციული კვლევები. წიაღისეულის რაოდენობრივი მარაგების გამოთვლა განხორციელებულია საშუალო არითმეტიკულით. მარაგებისა და პროგნოზული რესურსების კატეგორიების მიხედვით ($A+B+C_1+C_2$ და P), სალიცენზიო

ობიექტზე პროგნოზული - P კატეგორიის მარაგებია 232305 $მ^3$. თანმდევი სასარგებლო წიაღისეული და მისი კომპონენტების მარაგები ობიექტზე არ არის ფიქსირებული.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით სალიცენზიო ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივ) კატეგორიას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, წიაღითსარგებლობის ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში გეოდინამიკური გართულებები მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, წიაღითსარგებლობის ობიექტის დამუშავების ჰიდროგეოლოგიური და სამთო ტექნიკური პირობები დამაკმაყოფილებელია. ობიექტის დამუშავება დაგეგმილია ღია კარიერული წესით.

წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ არის განხილული დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლები, კერძოდ ნარჩენების წარმოქმნა, ხმაური, ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება, გრუნტის წყლებზე ზემოქმედება, არსებულ ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება. სალიცენზიო ობიექტიდან დაახლოებით 750 მეტრში დაგეგმილია სასარგებლო წიაღისეულის (223312,5 $მ^3$ ღორღის) მოპოვება, რაზეც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 9 აგვისტოს N2-1216 ბრძანებით გაცემულია სკრინინგის გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც საქმიანობა დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, მოსალოდნელია კუმულაციური ზემოქმედება, რაც საჭიროებს დამატებით შეფასებასა და შესწავლას. ამასთან, წარმოდგენილი არ არის დაგეგმილი საქმიანობის შედეგად გამოწვეული შესაძლო რისკების და საფრთხეების შესახებ ინფორმაცია. განცხადებაში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით - წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენების შესახებ. აგრეთვე, არ არის განხილული ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მართვასთან დაკავშირებული საკითხები. სკრინინგის განცხადება არ მოიცავს ინფორმაციას მოპოვებული ნედლეულის დასაწყობების პირობებისა და ტრანსპორტირების შესახებ.

სკრინინგის განცხადების თანახმად, სალიცენზიო ობიექტი არ ხვდება სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე. ობიექტიდან 900 მეტრში ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი. დოკუმენტში წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია წიაღითსარგებლობის ობიექტის დამუშავების ეტაპზე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე შესაძლო ზემოქმედებასთან დაკავშირებით. ამასთან, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი ინფორმაციის გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ სალიცენზიო ობიექტი მდებარეობს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე და ემიჯნება ასევე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს, ხოლო ტერიტორიიდან 450 მეტრში მდებარეობს საცხოვრებელი სახლი. შესაბამისად, აღნიშნული საკითხები საჭიროებს სათანადო შესწავლასა და შეფასებას.

სკრინინგის განცხადებაში არ არის შეფასებული დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე შესაძლო ზემოქმედების ხარისხი და კომპლექსურობა, რაც საჭიროებს დამატებით შესწავლას.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და გადაგზავნილ იქნა სიღნაღის მუნიციპალიტეტში აღმასრულებელი ან/და

წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე ან/და მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსების მიზნით. საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სოფ. ანაგას ტერიტორიაზე 232305 $მ^3$ ღორღის (სასარგებლო წიაღისეული) მოპოვება მასშტაბის, მოპოვების მეთოდის (ღია კარიერული წესით) და მდებარეობის გათვალისწინებით, გამოიწვევს მნიშვნელოვან ზემოქმედებას გარემოზე.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის მე-2 პუნქტის 2.1 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სოფ. ანაგას ტერიტორიაზე 232305 $მ^3$ ღორღის (სასარგებლო წიაღისეული) მოპოვება **დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გავლა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ „წიაღის ეროვნულ სააგენტოს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ „წიაღის ეროვნული სააგენტოს“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და სიღნაღის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი